



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 57

„29“ ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თელავი

შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავზე“ ადმინისტრაციული დაპირების  
გაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-9 მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავზე“ (ს/კ 405158975) გაცეს ადმინისტრაციული დაპირება თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩა N18-ში მდებარე 8609 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 53.20.42.682) 2019 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული N38 პ/უ-2019 პირობიანი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2021 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე